პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 61 (13743)

სამშაბათი, 14 მარტი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს გაზეთ „იზვესტიის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

გაზეთ „იზვესტიის“ 50 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათს მობილიზაციაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო გაზეთი „იზვესტია“ დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1967 წ. 13 მარტი.

გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციას

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მიესალმებიან და გულითადად ულოცავენ გაზეთ „იზვესტიის“ რედაქციისა და გამომცემლობის კოლექტივს, აგრეთვე მუშა და სოფლის კორესპონდენტებს, ავტორთა აქტივს და „იზვესტიის“ მკითხველებს გაზეთის პირველი ნომრის გამოსვლის ორმოცდამეათე წლისთავს.

ლენინური „პრავდის“ ტრადიციების ერთგული გაზეთი „იზვესტია“ საბჭოთა სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე აქტიურად ეხმარებოდა და ეხმარება პარტიას ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებაში, ხალხის ძირეული ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი სამშობლო ემზადება ღირსეულად შეხვდეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს. ჟურნალისტთა მოვალეობაა ღრმად და მკაფიოდ აჩვენონ სოციალიზმის აღმშენებლობითი ძალა, ის დიდი წარმატებანი, რომლებიც საბჭოთა კავშირის ხალხებმა მოიპოვეს კომუნისტურ მშენებლობაში, დაუცხრომლად განავითარონ მასების შემოქმედებითი ინიციატივა, დარაზმონ ისინი სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულებისათვის.

კიდევ უფრო აქტიური უნდა იყოს გაზეთის როლი საზოგადოების ყველა წევრის მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბებაში, საბჭოთა აპარატის სქემიანობის, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მუშაობის გაუმჯობესებაში. გაზეთი განუწყვეტლივ უნდა განამტკიცებდეს კავშირს მშრომელთა ფართო მასებთან.

გაზეთი „იზვესტია“ ყოველმხრივ უნდა აშუქებდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის, საერთაშორისო ურთიერთობის, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პრობლემებს, ამხილებდეს თანამედროვე იმპერიალიზმის ანტიხალხურ არსსა და აგრესიულ ხასიათს.

„იზვესტიის“ ფურცლებზე სრულად უნდა აისახოს მოძმე სოციალისტური ქვეყნების ხალხთა ცხოვრება, მათი ეკონომიური და კულტურული თანამშრომლობის განვითარება, რომელიც მიზნად ისახავს სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო „იზვესტიის“ კოლექტივს მუშა და სოფლის კორესპონდენტებს უსურვებენ ახალ დიდ წარმატებებს მათს შემოქმედებითს შრომაში, ჩვენი სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი | **სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო**

მეგობრობის ვიზიტით

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწვევით 13 მარტს მოსკოვში არაოფიციალური მეგობრობის ვიზიტით ჩამოვიდნენ ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ტოდორ ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ამხ. ჟივკო ჟივკოვი, ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ტანო ცოლოვი.

ვნუკოვოს აეროდრომზე ბულგარელ სტუმრებს შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. კოსიგინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ი. ვ. ანდროპოვი და სხვები. (საკადრო).

საერთაშორისო შეხვედრა მოსკოვში

11 მარტს მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სიმპოზიუმმა, რომელიც მიეძღვნა საკითხს, თუ რა როლს ასრულებენ ქალები სოციალისტურ საზოგადოებაში. სამი დღის განმავლობაში საზღვარგარეთის 65 სახელმწიფოსა და 10 საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ბევრი ახალი რამ შეიტყვეს ხუთი კონტინენტის ქალთა ცხოვრების შესახებ.

სიმპოზიუმზე გამოვიდა 60-ზე მეტი კაცი. ორატორებმა აღნიშნეს, რომ საბჭოთა ქალები, რომლებსაც დიდმა ოქტომბერმა მისცა მამაკაცის თანაბარი უფლებანი, უდიდეს როლს ასრულებენ სოციალისტური საზოგადოების განვითარებაში. საბჭოთა სახელმწიფო დიდად ზრუნავს იმისათვის, რომ ქალებს შეუქმნას პირობები, რომლებიც მათ ხაუალებას მისცემს ერთმანეთს შეუხამონ შრომელის, დედისა და მოქალაქის მოვალეობანი. ქალთა თანასწორუფლებიანობის რეალური განხორციელებისათვის პირობები შექმნილია სხვა სოციალისტურ ქვეყნებშიც.

საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებმა შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ ძლიერდება იმპერიალიზმის, აგრესიისა და ფაშიზმის ძალთა შეტევა. ვერავინ დარჩება გულგრილი ვიეტნამის გმირი ხალხის ბედისადმი, რომლის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტებმა დანაშაულებრივი ომი გააჩაღეს. აი რატომ უსმენდნენ ასეთი მღელვარებით ქალთა საერთაშორისო მოძრაობის მოღვაწენი სამხრეთ ვიეტნამის დელეგაციის მეთაურის ნგუენ ნგოკ დუნგის გამოსვლას.

დელეგაციის მეთაურმა მადლობა გადაუხადა მსოფლიოს ხალხებს იმისათვის, რომ ისინი ეხმარებიან და მხარს უჭერენ მებრძოლ ვიეტნამს, უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირისა და სოციალიზმის ქვეყნების მშრომელებს.

პატრიოტის მოწოდების პასუხად — ძალოონე არ დაზოგონ აგრესორთა დანაშაულებრივი მოქმედების მხილებისათვის — სიმპოზიუმის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ამერიკამ შეწყვიტოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, გაიყვანოს თავისი ჯარები სამხრეთ ვიეტნამიდან და დაიცვას ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი.

სიმპოზიუმზე ერთსულოვნად მიიღეს კომუნიკე, რომელშიც ხაზგასმულია, რომ საჭიროა მთელი მსოფლიოს ქალთა ერთობა და შეკავშირება მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და პროგრესისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. (საკადრო).

ღრმად და მკაფიოდ გავაშუქოთ სოციალიზმის შემოქმედებითი ძალა

„იზვესტიის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა

გაზეთი „იზვესტია“ წელთაღრიცხვას იწყებს ისტორიული 1917 წლიდან. გაზეთის პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთის თვითმპყრობელობის დამხობის მეორე დღეს. ეს იყო პრესის პირველი ორგანო საბჭოებისა, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფო ხელისუფლების ახალ ფორმას.

13 მარტს, გაზეთის დაბადების დღეს, კრემლის ყრილობათა სასახლეში შეიკრიბნენ მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები, მეცნიერები, კულტურისა და ხელოვნების მოღვაწენი, ჟურნალისტები, რათა ზეიმით აღენიშნათ „იზვესტიის“ 50 წლისთავი.

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ამხანაგებს **ლ. ი. ბრეჟნევს, გ. ი. ვორონოვს, ა. პ. კირილენკოს, ა. ნ. კოსიგინს, კ. ტ. მაზუროვს, ნ. ვ. პოდგორნის, დ. ს. პოლიანსკის, ა. ნ. შელეპინს, ვ. ვ. გრიშინს, პ. ნ. დემიჩევს, ი. ვ. ანდროპოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, თ. დ. კულაკოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს,** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ტოდორ ჟივკოვს,** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს **ჟივკო ჟივკოვს,** ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ტანო ცოლოვს.**

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარენი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის მინისტრები, სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარენი, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები, ცენტრალური გაზეთებისა და ჟურნალების მთავარი რედაქტორები, მხედართმთავრები და სხვები.

საზეიმო სხდომა გახსნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა **ლ. ი. ბრეჟნევმა.**

ძვირფასო ამხანაგებო! — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა.

აქ შევიკრიბეთ იმისათვის, რომ აღვნიშნოთ ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი თარიღი საბჭოთა პრესის ისტორიაში, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში — სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანოს გაზეთ „იზვესტიის“ ორმოცდამეათე წლისთავი.

„იზვესტიის“ პირველი ნომერი გამოვიდა რუსეთის თებერვლის რევოლუციის გამარჯვების მეორე დღეს, რევოლუციისა, რომელმაც დაამხო მეფის თვითმპყრობელობა და გახსნა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისათვის ბრძოლის გზა.

საბჭოთა პრესა ჩვენი პარტიის პირმშო, ხალხის რევოლუციური ტრიბუნაა. ოქტომბრის დღეებში და სამოქალაქო ომის ფრონტებზე, აღდგენის პერიოდსა და პირველი ხუთწლედების წლებში, ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დიდი სამამულო ომის წლებში, ომისშემდგომი მშენებლობის წლებში გაზეთები „პრავდა“, „იზვესტია“ და ჩვენი პრესის სხვა ორგანოები აქტიურად ეხმარებოდნენ პარტიას. პრესა შენდებოდა, იზრდებოდა, ვითარდებოდა ხალხთან ერთად. საბჭოთა კავშირში პრესა ჭეშმარიტად მასობრივი, ჭეშმარიტად ხალხური გახდა. ტყუილად როდია მისი ტირაჟები მსოფლიოში უდიდესი. ჩვენმა დღევანდელმა იუბილარმა გაზეთმა „იზვესტიამ“ ამ მხრივ ბევრი წარმატება მოიპოვა, ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი პოპულარული გაზეთი გახდა.

„იზვესტიის“ ორმოცდამეათე წლისთავი ეს, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა დღესასწაულია იმ ადამიანთა ნიჭიერი კოლექტივისა, რომლებიც ამ გაზეთს ქმნიან, — ეს არის იზვესტიელ ჟურნალისტთა, სტამბისა და გამომცემლობის მუშაკთა დღესასწაული. მაგრამ ამასთანავე ეს მთელი ჩვენი პრესის დღესასწაულიც არის. „იზვესტიის“ საუბილეო თარიღის დღესასწაულის საზეიმო ხასიათი ერთხელ კიდევ ადასტურებს იმას, თუ რა უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საბჭოთა პრესას ჩვენი პარტია, მთავრობა, ჩვენი ქვეყნის საზოგადოებრიობა.

„პრავდა“, „იზვესტია“ და ჩვენი პრესის სხვა ორგანოები, საბჭოთა რადიო და ტელევიზია ხალხის აღზრდის, პარტიის იდეების პროპაგანდის მძლავრი საშუალებაა, ჩვენი საზოგადოების საქმეთა მართვაში მშრომელთა უფართოესი მასების ჩაბმის საშუალებაა.

საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვა ეს არის საშუალება, რომლის მეშვეობით ჩვენი პარტია ყოველდღიურად ესაუბრება მასებს, ეთათბირება, პოლიტიკურად ანათლებს მათ, რაზმავს მათს შემოქმედებითს ძალებს და ამით აადვილებს თავისი პოლიტიკის ლენინური გენერალური ხაზის განხორციელებას.

სწორედ ამიტომ სცემენ ასეთ პატივს პრესას ჩვენს ქვეყანაში, ასეთი ყურადღებით ეკიდებიან მის ხმას, მხედველობაში იღებენ მის სიგნალებს, წინადადებებსა და კრიტიკულ გამოსვლებს.

ახლა, როცა დავიწყეთ კომუნიზმის მშენებლობის ეპოქა, ყოველგვარი იდეოლოგიური მუშაობის მნიშვნელობა და მისი როლი საზოგადოების ცხოვრებაში განსაკუთრებით გაძლიერდა. იდეოლოგიური მუშაობის დონეზე, ჩვენი საზოგადოების ყველა წევრის შეგნებულობასა და სოციალურ აქტივობაზე დიდად არის დამოკიდებული ჩვენი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის დღევანდელი და ხვალინდელი წარმატებანი, ჩვენი სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცება, მისი როლის შემდგომი გაძლიერება საერთაშორისო ასპარეზზე.

ჩვენ კომუნიზმს ვაშენებთ რთულ საერთაშორისო ვითარებაში, იმ პირობებში, როცა მიმდინარეობს არა მარტო ეკონომიური შეჯიბრება, არამედ ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო სოციალური სისტემის მწვავე იდეოლოგიური და პოლიტიკური ბრძოლაც. მსოფლიოში წარმოებს იდეების ნამდვილი ომი, რომელშიც არ არის არც შესვენება, არც დაზაება. ჩვენი პარტიის იდეოლოგიურ მებრძოლებს მაღლა უნდა ეჭიროთ მარქსისტულ-ლენინური იდეების დროშა, განმარტავდნენ და პროპაგანდას უწევდნენ ჩვენს კომუნისტურ იდეალებს, აქტიურად იგერიებდნენ იმპერიალიზმის განუწყვეტელ პროპაგანდისტულ იერიშებს, ყოველდღიურად და მტკიცედ უტევდნენ ჩვენი მოწინააღმდეგეების პოზიციებს იდეოლოგიურ ფრონტზე. რათ გვინდა ბევრი ლაპარაკი იმაზე, თუ რაოდენ დიდია საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის როლი ყველა ამ ამოცანის გადაწყვეტაში, სკკპ XXIII ყრილობის იმ გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებაში, რომლებიც ეხება პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მუშაობას.

დიდია ჩვენი პრესის საზოგადოებრივი დანიშნულება. ყველა მისი მუშაკი — რედაქტორები და ნარკვევების მწერლები, პუბლიცისტები და რეპორტიორები, კორესპონდენტები ჩვენში და საზღვარგარეთ მოწოდებული არიან თავიანთი ინიციატივით, პოლიტიკურად მწიფე და დაძაბული მუშაობით ხელი შეუწყონ ამ პასუხსაგები მისიის შესრულებას, რომელსაც ასე დიდად აფასებენ პარტია და ხალხი.

თქვენ ყველამ, ამხანაგებო, რა თქმა უნდა, კარგად იცით ლენინის ახდერძი საბჭოთა ბეჭდვითი სიტყვის მუშაკებისადმი — მასები აღზარდონ ცხოვრების ყველა დარგიდან აღებული ცოცხალი კონკრეტული მაგალითებით და ხიმუშებით, იბრძოლონ სიახლის დამკვიდრებისათვის მთელ ყოველდღიურ მუშაობაში. ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მოგვიწოდებდა გადავაქციოთ გაზეთი „იმის იარაღად, რომ გავანათლოთ მასები და ვასწავლოთ მათ ცხოვრება და თავიანთი მეურნეობის შენება...“. პირნათლად შეასრულოს ეს უძნელესი და უმნიშვნელოვანესი ამოცანა, ძოახმაროს ამ საქმეს მთელი თავისი ძალღონე და ცოდნა, მთელი თავისი პროფესიული ოსტატობა და გულის მგზნებარება — აი თვითეული საბჭოთა ჟურნალისტის მოვალეობა.

ნება მიბოძეთ, ამხანაგებო, გულითადად მივულოცო „იზვესტიის“ კოლექტივს გაზეთის ორმოცდამეათე წლის იუბილე და წავიკითხო სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს მისალმება.

ტაშის გრიალში ლ. ი. ბრეჟნევმა წაიკითხა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმება გაზეთ „იზვესტიისადმი“.

დარბაზში ჟღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნის მელოდია.

• • •

სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ **ნ. ვ. პოდგორნიმ.**

ძვირფასო ამხანაგებო! მეგობრებო! — თქვა ნ. ვ. პოდგორნიმ.

ეს-ეს არის დიდი აღფრთოვანებით შეხვდით სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებას. დიდ კმაყოფილებას მანიჭებს გაცნობოთ, რომ გაზეთ „იზვესტიის“ ორმოცდაათი წლის შემოქმედებითი წვლილი პარტიისა და ხალხის ბრძოლაში კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის სამშობლოს უმაღლესი ჯილდოთი აღინიშნა.

ნება მიბოძეთ წავიკითხო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1967 წლის 13 მარტის ბრძანებულება:

„გაზეთ „იზვესტიის“ 50 წლისთავთან დაკავშირებით, აგრეთვე მშრომელთა კომუნისტურ აღზრდასა და სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესრულებისათვის მათს მობილიზაციაში დიდი დამსახურების აღსანიშნავად სსრ კავშირის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო გაზეთი „იზვესტია“ დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით“.

გაზეთი, ყოველი მისი ნომერი დიდი კოლექტივის შემოქმედებითი ჩანაფიქრისა და შრომის ხორცშესხმაა. ორმოცდაათი წლის მანძილზე, ყოველდღიურად, „იზვესტიას“ ქმნის ათეული ათასობით ჟურნალისტი და პოლიგრაფისტი, ასეულ ათასობით მუშა და სოფლის კორესპონდენტი. სამასზე მეტი იზვესტიელის ნაყოფიერი მუშაობა ჟურნალისტიკის დარგში, მათი წარმატებანი საბჭოთა პრესისა და საგამომცემლო საქმის განვითარებაში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა აღნიშნა იმით, რომ დააჯილდოვა ისინი საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

ნახევარი საუკუნის წინათ საბჭოებთან ერთად იშვა მათი გაზეთი — „იზვესტია“. მას შემდეგ ოქტომბრის გამარჯვებისა და პროლეტარიატის დიქტატურის განმტკიცებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლის ყველა ეტაპზე გაზეთი საბჭოების ნები, საბჭოების მიერ გაერთიანებული მშრომელი მასების აზრებისა და მისწრაფებების გამომხატველია.

„იზვესტიის“ თვითეული ნომერი თითქოს ჩვენი სახელოვანი და ძნელი გზის, ჩვენი გმირული სინამდვილის მომენტალური ფოტოსურათია. თუ გადავფურცლავთ გაზეთის კომპლექტებს, თვალწინ გადაგვეშლება მსოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფოს დამყარებისა და განვითარების, თავიანთი დიდი მონაპოვრების დაცვისათვის ბრძოლების ისტორია, ხალხის მიერ გადატანილი მკაცრი განსაცდელისა და მიღწეული გამარჯვებების მატიანე.

თავის უფროს თანამებრძოლ ლენინურ „პრავდასთან“ ხელიხელჩაჯიდებული, მისი ტრადიციების ერთგული „იზვესტია“ მასებში ავრცელებს კომუნისტური პარტიის დიად იდეებსა და მგზნებარე სიტყვას, ეხმარება მას აღფრთოვანოს და აღზარდოს მილიონობით ადამიანი, წარმართოს მათი ენერგია, ნებისყოფა და გონება სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალი მწვერვალების დასაპყრობად.

ახლა მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენცია ბეჯითად შრომობენ პარტიის ფართო შთანაფიქრების, XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის. „იზვესტიის“ მუშაკთა წმიდათა-წმიდა მოვალეობაა მკაფიოდ გააშუქონ სოციალიზმის შემოქმედებითი ძლიერება, ხალხის, საბჭოთა ადამიანის გიგანტური მუშაობა, მისი ზნეობრივი იერის მთელი სიდიადე და სილამაზე, განავითარონ მასების შემოქმედებითი ინიციატივა.

გაზეთის ერთ-ერთი წამყვანი თემაა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოება, ესე იგი სწორედ ის, რაც საფუძვლად უდევს ჩვენი საზოგადოების განვითარებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას. ამიტომ „იზვესტიის“ ფურცლებზე კვლავაც ესოდენ დიდი ადგილი უნდა ეჭიროს ეკონომიკის, კულტურისა და მეცნიერების, საყოფაცხოვრებო მომსახურების განვითარების ერთმანეთთან განუყრელად დაკავშირებულ საკითხებს.

გაზეთმა კვლავაც აქტიური როლი უნდა შეასრულოს ყველა საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობისა და კომუნისტური ზნეობის ჩამოყალიბებაში, განამტკიცოს მათი ზრუნვა საყოველთაო-სახალხო დოვლათის გადიდებისათვის, პატივისცემა სოციალისტური საერთო ცხოვრების კანონებისა და ნორმებისადმი, პატრიოტიზმისა და მოქალაქეობრიობის გრძნობა.

„იზვესტია“ პარტიის ერთგული თანაშემწეა მასებთან ურთიერთობის გაძლიერებაში, სოციალისტური დემოკრატიის განვითარებაში. ამ ბოლო ხანს გაზეთმა დასვა მთელი რიგი პრობლემები, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIII ყრილობის გადაწყვეტილებებიდან და დაკავშირებული არიან საბჭოების როლის შემდგომ ამაღლებასთან სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, თვით საბჭოების ბუნებაში არსებული ყველა შესაძლებლობის გამოყენებასთან, მათი მუშაობის მეთოდებისა და ფორმების გაუმჯობესებასთან.

დეპუტატების სტატიები და წერილები შეიცავენ მასების მრავალმხრივ გამოცდილებას, თუ როგორ უნდა უძღვებოდნენ თავიანთი სახელმწიფოს საქმეებს. ლენინი გვასწავლიდა ნამცეც-ნამცეც შეგეგროვებინა და გაგვევრცელებინა ასეთი გამოცდილება. ამაში დიდი როლი ეკუთვნის პრესას. და რა, თქმა უნდა, უწინარეს

(დასასრული ᲛᲔ-2 გვ.)



სურათზე: მაკეტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობის ერთ-ერთი პროექტისა, რომელიც შექმნეს საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის არქიტექტორებმა.

რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებმა ღაათვალიერეს თბილისის უნივერსიტეტის საკონკურსო პროექტების გამოფენა

საქართველოს დედაქალაქში, საბურთალოს რაიონში გათვალისწინებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის მშენებლობა. ამასთან დაკავშირებით გაიხსნა მომავალი უნივერსიტეტის კომპლექსის საკონკურსო პროექტების გამოფენა. საქალაქო მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტმა, თბილისის ქალაქის დაპროექტების ინსტიტუტმა, ექსპერიმენტული დაპროექტების ზონალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და მოსკოვის უმაღლესი სასწავლებლების საპროექტო ინსტიტუტმა გამოფენაზე წარმოადგინეს უნივერსიტეტის ახალი კომპლექსის ხუთი ვარიანტი.

ამ დღეებში საკონკურსო პროექტების გამოფენა დაათვალიერეს ამხანაგებმა **ვ. პ. მჟავანაძემ, ა. ა. როდიონოვმა, დ. ბ. სტურუამ, გ. ი. ჩოგოვაძემ, გ. ხ. ძოწენიძემ, გ. დ. ჯავახიშვილმა, მ. ი. კუშავამ, ა. ნ. ინაურმა, ო. ი. ლოლაშვილმა, ო. ე. ჩერქეზიამ.** მათთან ერთად იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **შ. ე. ბუხრაშვილი.** რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები დაწვრილებით გაეცნენ პროექტებს, შეიტანეს მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნები.

გამოფენაზე ახსნა-განმარტებას იძლეოდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ო. გ. თუხარელი. (საკადრო).

(დასასრული)

ᲠᲠᲛᲐᲓ ᲓᲐ ᲛᲙᲐᲤᲘᲝᲓ ᲒᲐᲕᲐᲛᲣᲭᲝᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲫᲐᲚᲐ

ყოვლისა საბჭოების მთავარ გაზეთს „იზვესტიას“.

ჩვენი პრესა ყოველდღიურად ეხმარება პარტიასა და სახელმწიფოს ლენინური საგარეო პოლიტიკის განხორციელებაში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის განმტკიცებაში, იმპერიალიზმის აგრესიული პოლიტიკის, მისი გახრწნილი იდეოლოგიის წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში. ეჭვი არ არის, რომ იზვესტიელები კვლავაც პირველთა შორის იბრძოლებენ იმპერიალისტური რეაქციის წინააღმდეგ და დაამკვიდრებენ მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ იდეებს, სოციალური სამართლიანობის, თავისუფლებისა და ჰუმანიზმის იდეებს.

ძვირფასო ამხანაგებო! ჩვენი ცხოვრება აღსავსეა საგმირო საქმეებით, და პირდაპირ გინდა ასახო იგი სიმღერაში, მხატვრულ ტილოზე, წიგნში და, რა თქმა უნდა, გაზეთის ფურცლებზე. მაშ ვუსურვოთ ამხანაგ იზვესტიელებს ყოველმხრივ, მკაფიოდ და მართლად ასახონ ეს ცხოვრება, კიდევ უფრო ენერგიულად იბრძოლონ იმისათვის, რომ უფრო მედიდრდებოდეს და ძლიერდებოდეს სახელმწიფო, რომ საბჭოთა ადამიანის შრომას დღითიდღე სულ უფრო მეტი ბარაქა მოჰქონდეს.

ყოველთვის ბასრი და შეურიგებელი ყოფილიყოს მათი კალამი, ყოველთვის კრიტიკის ჭარცეცლში ატარებდნენ ყველაფერს, რაც ეწინააღმდეგება საბჭოთა ცხოვრების წესს, სოციალიზმის საქმეს.

ნება მიბოძეთ მხურვალედ მივულოცო „იზვესტიის“ მებრძოლ კოლექტივს — მისი რედაქციის მუშაკებს, კორესპონდენტებს ჩვენში და საზღვარგარეთ, სტამბის მუშებსა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, გამომცემლობის მოსამსახურეთ, აგრეთვე მუშა და სოფლის კორესპონდენტთა მრავალრიცხოვან არმიას, გაზეთის ყველა ავტორს მისი ნახევარსაუკუნოვანი იუბილე და ლენინის ორდენით დაჯილდოება, გაზეთის თანამშრომელთა დიდი ჯგუფის დაჯილდოება.

სულით და გულით ვუსურვებ ორგზის ორდენოსან „იზვესტიას“ შემოქმედებითს ახალგაზრდობას, დაუშრეტელ ბოლშევიკურ სიმხნევეს, ახალ წარმატებებს ლენინური პარტიის საქმისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

დიდი სიამოვნებით ვასრულებ საპატიო დავალებას — ამ საზეიმო დღეს გაზეთ „იზვესტიას“ გადაცე ჩვენი სამშობლოს უმაღლესი ჯილდო — ლენინის ორდენი.

გაისმა მჭუხარე ტაში, როცა ნ. ვ. პოდგორნინმ „იზვესტიის“ დროშას მიაბნია მაღალი ჯილდო.

* * *

მოხსენება „გაზეთ „იზვესტიის“ 50 წლისთავის შესახებ“ გააკეთა მთავარმა რედაქტორმა **ლ. ნ. ტოლკუნოვმა.** მან თქვა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მისალმება „იზვესტიის“ კოლექტივისადმი და გაზეთის ლენინის ორდენით დაჯილდოება ყველა საბჭოთა ჟურნალისტის, ჩვენი პრესის ყველა მუშაკის შემოქმედებითი საქმიანობის მაღალი შეფასებაა.

შეკრებილთა სახელით, გაზეთის მუშაკ-ჟურნალისტთა და სტამბის მუშაკთა სახელით მომხსენებელმა დიდი მადლობა გადაუხადა პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, საბჭოთა მთავრობას, რომ დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა პრესის განვითარებისათვის.

საბჭოთა ქვეყანა, აღნიშნა ლ. ნ. ტოლკუნოვმა, ეგებება „ოქრს იუბილეს“ ღირსშესანიშნავ წელს — ემზადება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორმოცდაათი წლისთავის დღესასწაულობისათვის. თვალს ვავლებთ რა ნახევარი საუკუნის ამბებს, რომლებმაც მთლიანად შეიცვალეს მთელი პლანეტის სახე, ჩვენ, ჟურნალისტები, ვფიქრობთ იმ როლზეც, რომელიც შეასრულა რუსეთის რევოლუციის გარდაქმნისათვის ბრძოლებში შობილმა ჩვენმა პრესამ.

მომხსენებელი შეეხო ბოლშევიკური პრესის ისტორიას, „იზვესტიის“ ისტორიას, რომელიც, მიჰყვებოდა რა საბჭოთა პრესის ფლაგმანს — ლენინურ „პრავდას“, ასრულებდა კოლექტიური პროპაგანდისტის, აგიტატორისა და მასების ორგანიზატორის როლს.

მთავარმა რედაქტორმა ღღნიშნა, თუ როგორ მუშაობს რედაქცია, რა შემოქმედებითს ძიებას ეწევიან ჟურნალისტები, როგორ იბრძვიან თითოეული საბჭოთა ადამიანისათვის, მისი კომუნისტური რწმენისა და სიმტკიცისათვის, მორალური სიწმინდისა და ცხოვრებაში აქტიური პოზიციისათვის.

დასასრულ ლ. ნ. ტოლკუნოვმა თქვა:

ჩვენ, იზვესტიელებს შეგნებულმა გვაქვს ის მაღალი პასუხისმგებლობა, რომელიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დაგვაკისრა და აღუთქვამთ პარტიას ვიშრომოთ კიდევ უფრო ბეჯითად გაზეთის სრულყოფისათვის, მისი შინაარსისა და გაფორმების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მკითხველებთან კავშირის განმტკიცებისათვის. ამ საზეიმო დღეს პირობას ვდებთ მთელი ძალღონე მოვახმაროთ იმას, რომ შევასრულოთ პარტიის მითითებანი „იზვესტიის“ როგორც სახალხო გაზეთის შემდგომი განვითარების შესახებ. საბჭოთა ჟურნალისტები, ხელმძღვანელობენ რა კომუნისტური პარტიის წინასწარმასახელობებით, პირველადი ორგანიზაციებიც მათ წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გენერალური თავმჯდომარემ, „პრავდის“ მთავარმა რედაქტორმა **მ. ვ. ზიმიანინმა,** ბალტიკისა — „ბალტიისკაია პრავდა“ — ბალტიკისპირეთის რეგიონალური ორგანოს ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა **ვ. ა. სმირნოვმა,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა **ნ. ნ. სემიონოვმა,** ვინიცის ოლქის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა **მ. დ. ბელოუსმა,** კოსმონავტმა მფრინავმა, საბჭოთა კავშირის გმირმა **პ. რ. პოპოვიჩმა** მხურვალედ მიულოცეს რედაქციის კოლექტივს სახელოვანი იუბილე და გაზეთის ლენინის ორდენით დაჯილდოება.

სხდომის მონაწილეებმა დიდი აღმავლობით მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისადმი. (საკდესი).

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐ ᲨᲔᲜ, ᲡᲐᲑᲭᲝᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ!

ᲙᲔᲜᲭᲘᲡᲬᲠᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐᲨᲘ

მშვიდობასა და კომუნიზმს, პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას მისცეს მსგავსი რუსეთის მშრომელებმა, რომლებიც რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოსა და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დეპუტატებს ირჩევდნენ.

ადრე გაიღვიძა ამ დღეს მოსკოვმა, სტუმარმოყვარულად გააღო თავისი 2.811 საარჩევნო უბნის კარი. ყველაზე ღირსეულ — ყველაზე ერთგულ შვილებს, მუშათა კლასის, შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს გზავნის საბჭოებში მშრომელი მოსკოვი. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ბაუმანის საარჩევნო ოლქის მშრომელებმა დაასახელეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი. ფრუნზეს საარჩევნო ოლქში აყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. კოსიგინი, ლენინგრადის საარჩევნო ოლქში — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი.

16.00 საათისთვის მოსკოვში ხმა მისცა ამომრჩეველთა 97,7 პროცენტმა.

საბჭოების არჩევნების დღე ორმაგი დღესასწაული იყო მოსკოვის ოლქის მეცხრეთათვის: რამდენიმე დღის წინ მოსკოვის ოლქს გადაეცა მესამე ლენინის ორდენი. მოსკოვის ოლქის საარჩევნო ოლქებში რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი საკავშირო პროფსაბჭოს თავმჯდომარე ვ. ვ. გრიშინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. ვ. კაპიტონოვი.

აქტიურად მიმდინარეობდა კენჭისყრა ლენინგრადის ვასილის კუნძულის საარჩევნო ოლქში, სადაც უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრის სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ვ. ტ. მაზუროვი, პოლიტექნიკურ საარჩევნო ოლქში, სადაც რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში დასახელებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს კანდიდატი ა. პ. პირიონდაშვილი.

რუსეთის ფედერაციის საარჩევნო ოლქებში, რუსეთის სფსრ უმაღლეს საბჭოში კენჭს იყრიან აგრეთვე პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელები: ბ. ი. ვორონოვი — ომსკში, ა. ი. პელშე — ვოლგოგრადში, დ. ს. პოლიანსკი — ალტაის მხარის რაიონულ ცენტრ პავლოვსკში, მ. ა. სუსლოვი — კუბიშევის ოლქის ქალაქ ტოლიატიში, ა. ნ. შელეპინი — კალინინში, ა. ნ. დემიჩევი — იაროსლავლში, დ. ი. უსტინოვი — ვლადიმირის ოლქის კოვროვში, ი. ვ. ანდროპოვი — ტულის ოლქის ნოვომოსკოვსკში, ი. დ. კულაკოვი — პენზის ოლქის ნიჟნი ლომოვში, ბ. ნ. პონომარიოვი — სარატოვში, მ. ს. სოლომენცევი — ჩელიაბინსკის ოლქის მაასში, ისე როგორც ყველგან, კენჭისყრა ამ ოლქებში აქტიურად, ერთსულოვნად და ორგანიზებულად მიმდინარეობდა.

საკდესის კორესპონდენტებმა ყველაზე დაშორებული პუნქტებიდან გამოგზავნეს ცნობა, რომ კენჭისყრა აქტიურად და ერთსულოვნად მიმდინარეობდა, ექვს საათზე კენჭისსაყრელი პუნქტები გაიღო მოდრეიფე სადგურებზე „ჩრდილოეთ პოლუსი-13“ და „ჩრდილოეთი პოლუსი-15“, საბჭოთა სამხრეთპოლარული სადგურების მოზაბორეებთან, დიუმონ-ანვილში „ოზზი“. ვერტმფრინავმა ყუთი და ბიულეტენები ჩაუტანა მეტეოროლოგიური საგუშაგოს მეთვალყურეებს ვლადიმერ ზაიცევსა და მის ცოლს, რომლებიც ჩიტის ოლქის გაუვალ ტაიგაში ცხოვრობენ.

პირველთაგანებმა მისცეს ხმა სადგურ „ელუსხრის უღელტეხილის“ რადიომეტეოროლოგებმა. მათთან მისვლა შეიძლოთ მხოლოდ გამოცდილ მოთხილამურეებს, რომლებმაც გადალახეს ღრმა თოვლით დაფარული უძნელესი მარშრუტი და მიიტანეს ბიულეტენები და ყუთები.

ტაიმირზე მესამე დღეა მძვინვარებს ქარბუქი, რომელმაც გააკავა ყველა საჰაერო გზა. საქმეს უშველეს ირმის მარხილებმა, ყველაზე საიმედო ტრანსპორტმა ტუნდრაში, და დილის 8 საათისთვის ოლქის სოფლებში ხმა მისცა ამომრჩეველთა დაახლოებით ნახევარმა. (საკდესი).

ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲗᲐᲗᲑᲘᲠ-ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲐ „ᲪᲝᲓᲜᲐᲨᲘ“

საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ლექტორიუმში ორ დღეს მიმდინარეობდა თათბირ-სემინარი სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიეძღვნა.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს რესპუბლიკის საზოგადოება „ცოდნის“ თავმჯდომარის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. ძოწენიძის მოხსენება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახებ.

სოციალისტურ კანონიერებასა და მშრომელთა სამართლებრივი აღზრდის ამოცანებს მიუძღვნა მოხსენება რესპუბლიკის პროკურორმა პ. ბერძენიშვილმა. პროფესორმა ბ. ფურცხვანიძემ გააკეთა მოხსენება საქართველოს სსრ საზოგადოება „ცოდნის“ ორგანიზაციებში სახელმწიფოსა და სამართლის საკითხთა პროპაგანდის მდგომარეობისა და ამოცანების შესახებ. დოცენტმა ნ. ლომსაძემ ილაპარაკა სიახლეზე საკოლმეურნეო სამართლის საკითხებში.

თათბირ-სემინარზე მოისმინეს მოხსენებანი: ლოცენტ ე. ნეიძისა — „შრომის სამართლის საკვანძო საკითხები“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორის, პროფესორ ს. ჯორბენაძისა — „სიახლე საბჭოთა კანონმდებლობაში ოჯახისა და ქორწინების შესახებ“, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ვ. მაისურაძისა — „საბჭოთა მართლმსაჯულება სახელმწიფოს ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლების სადარაჯოზე“, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის ვ. შადურისა — „საბჭოთა მილიცია და მისი როლი სოციალისტური მართლწესრიგის განმტკიცებაში“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ბ. კაციტაძისა — „უცხოეთის დაზვერვათა თანამედროვე მეთოდები“.

სახელმწიფოსა და სამართლის სხვადასხვა აქტუალური საკითხი გააშუქეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ მ. ლომსიძემ, საქართველოს სსრ ადვოკატურის პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. პაიჭაძემ.

როგორც ვიცით, მიმდინარე წლის თებერვლის შუა რიცხვებში ინგლისში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი. ა. ნ. კოსიგინის თანმხლებ პირთა შორის იყო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. დ. ჯავახიშვილიც. თათბირ-სემინარზე ამ. გ. დ. ჯავახიშვილმა ილაპარაკა ამ ვიზიტის შედეგებზე, დამსწრეთ გაუზიარა დიდ ბრიტანეთში ყოფნის პირადი შთაბეჭდილებანი.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გააცნეს მუშაობის გამოცდილება. (საკდესი).

ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲜᲓᲝᲑᲐ

წითელწყაროს პარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი **ამირან ივანეს-ძე გონაშვილი** — რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი შეხვდა საქალაქო № 182 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირებმა წითელწყაროს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილების მეთოდიური კაბინეტის მეთოდისტმა ქ. ჯორკაშვილმა და ქალაქ წითელწყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მექანიზატორმა გ. დოლიძემ, აგრეთვე სხვა ამომრჩეველებმა ა. ი. გონაშვილი დაახასიათეს, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების უოლეევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

ა. ი. გონაშვილმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

ფოთი. ლენინის № 324 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, პარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს **ილია ერემიას-ძე გეგენავას.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ფოთის მეოთხე საშუალო სკოლის პედაგოგმა ნ. ბარაკაიამ შეკრებილთ გააცნო ი. ე. გეგენავას ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა, დაახასიათა იგი, როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების უოლეევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი. ნ. ბარაკაიამ მოუწოდა ამომრჩევლებს არჩევნების დღეს ერთსულოვნად მისცენ ხმა ი. ე. გეგენავას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა დეპუტატობის კანდიდატმა, რომელმაც აღუთქვა ამომრჩევლებს, რომ გაამართლებს მათ მაღალ ნდობას.

ქალაქ თბილისის მარქსის № 25 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის ზეინკალს **ზაქრო გიგოს-ძე აბრამაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის საინსტრუმენტო-სარემონტო საამქროს უფროსმა ლუსტატა ა. სიხარულიძემ შეკრებილთ უამბო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ და მოუწოდა მათ ხმა მისცენ მას. ზ. გ. აბრამაშვილმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ ძალღონეს არ დაიშურებს მათი განაწესის შესასრულებლად.

აბაშა. რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი **ფაღუშა დავითის ასული დუმბაძე** შეხვდა ძველი აბაშის № 292 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ძველი აბაშის რვაწლიანი სკოლის პედაგოგმა რ. ნადარეიშვილმა და შეხვედრაზე გამოსულმა ამომრჩეველმა ფ. დ. დუმბაძე დაახასიათეს როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების უოლეევი ბლოკის ღირსეული კანდიდატი.

დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს ნდობას.

ბათუმი. გაიმართა ბათუმის რაიონის აკარისწყლის № 383 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორ **გრიგოლ გრიგოლის-ძე აბაშიძესთან.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — აკარისწყლის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ე. მდინარაძემ, აგრეთვე ამომრჩეველებმა დ. თედორაძემ, ი. შუშანიძემ, ნ. გორგაშაძემ და სხვებმა გამოთქვეს რწმენა, რომ გ. გ. აბაშიძე გაამართლებს ხალხის მაღალ ნდობას.

გ. გ. აბაშიძემ თავის გამოსვლაში ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს იმედებს.

წითელწყაროს. სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის კულტურის სახლში ზემო ქედის № 183 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს **ვლადიმერ ივანეს-ძე მაისურაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ზემო ქედის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგემ ც. ლაპიაშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და მოუწოდა ხმა მისცენ მას.

ვ. ი. მაისურაძემ ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს ნდობას.

ბათუმი. სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საქართველოს საზღვაო სანაოსნოს **უფროსი ანატოლი ალექსის-ძე კაჭარავა** — ქარხნის № 373 საარჩევნო ოლქში დასახელებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი შეხვდა თავის ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ბათუმის კოფეინის ქარხნის მთავარმა ინჟინერმა ე. ბოჟორიშვილმა დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი და ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ მას.

ა. ა. კაჭარავამ **ამომრჩევლებს** აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს ნდობას.

ხაშური. რკინიგზელთა კულტურის სასახლეში რუსთაველის № 103 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტის რექტორს **ვლადიმერ გიორგის-ძე მამათელაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ხაშურის მე-3 საშუალო სკოლის მასწავლებელმა მ. კოშკაძემ შეკრებილთ გააცნო ვ. გ. მამათელაშვილის ბიოგრაფია და მეცნიერული მოღვაწეობა და ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ მას.

დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ ნდობას.

ალი № 106 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, პარტიის ხაშურის რაიკომის პირველ მდივანს **დურმიშხან დიმიტრის-ძე მაღალაშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა ალის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის პარტკომის მდივანმა გ. ძინძიბაძემ დეპუტატობის კანდიდატი დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

დეპუტატობის კანდიდატმა თავის **ამომრჩევლებს** აღუთქვა, რომ **გაამართლებს** მათ მაღალ ნდობას.

სოფელ ქვიშხეთის კულტურის სახლში ქვიშხეთის № 105 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სტატეო მეურნეობის საკავშირო-რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს **იოსებ ივანეს-ძე ჩოდრიშვილს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ქვიშხეთის საშუალო სკოლის პედაგოგმა ნ. გოგიბერიძემ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა მათ ხმა მისცენ მას.

შემდეგ გამოვიდა ი. ი. ჩოდრიშვილი, რომელმაც ამომრჩეველებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათ მაღალ ნდობას.

თბილისი. ნასაკირალის № 56 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს **ნიკოლოზ გიორგის-ძე გომელაურს.**

ნდობით აღჭურვილმა პირებმა — ანალიზური ხელსაწყოთმშენებლობის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს განყოფილების უფროსმა გ. ფანცულაიამ და ხორცკომბინატის დირექტორის თანაშემწემ კადრების დარგში ვ. ჟერლიანმა შეკრებილთ გააცნეს დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა, დაახასიათეს იგი როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

შემდეგ შეხვედრაზე გამოვიდა ნ. გ. გომელაური, რომელმაც გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს და აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

თბილისის პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქალაქ თბილისის ავაკის № 45 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატს, საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანს **ეთერ არტემის ასულ სალუქვაძეს.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ამ ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანმა დოცენტმა გ. ბარამიძემ ამომრჩევლებს გააცნო ე. ა. სალუქვაძის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა მათ ხმა მისცენ მას.

დეპუტატობის კანდიდატმა ე. ა. სალუქვაძემ ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ოქტომბრის რაიკომის პირველი მდივანი **მელიტონ მიხეილის-ძე დანელია** — ქალაქ თბილისის მერკვეულის № 24 საარჩევნო ოლქში დასახელებული რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი შეხვდა ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — მანქანათმშენებლობისა და ელექტროტექნიკის სამეცნიერო-საკვლევი საპროექტო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის განყოფილების გამგემ ს. ჩოჩიშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა.

მ. მ. დანელიამ ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ ძალღონესა და ენერგიას **არ** დაიშურებს მაღი იმედების გასამართლებლად.

თბილისის № 18 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის **კლუბში** ქალაქ თბილისის **დელისის № 52 საარჩევნო** ოლქის ამომრჩეველები **შეხვდნენ** რესპუბლიკის უმაღლესი **საბჭოს** დეპუტატობის კანდიდატს, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის **მოადგილეს ნინო აქვსენტის ასულ უვანიას.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — თბილისის მე-60 საშუალო სკოლის პედაგოგმა ვ. აბაშიძემ ამომრჩევლებს გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა და მოუწოდა მათ ხმა მისცენ მას.

ნ. ა. ევანიამ ამომრჩევლებს აღუთქვა, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის მეკოპე **კომუნისტური** შრომის დამკვრელი **გიორგი ნიკოლოზის-ძე კურტანიძე** ქალაქ თბილისის ავჭალის № 1 საარჩევნო ოლქის კოლექტივთა წინასაარჩევნო კრებებზე დასახელეს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად. ამას წინათ გ. ნ. კურტანიძე შეხვდა ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნის ტექნიკური კონტროლის განყოფილების უფროსმა ვ. სკამორიაშვილმა **შეკრებილთ** გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია, დაახასიათა იგი როგორც **კომუნისტებისა** და უპარტიოების ურღვევი ბლოკის ღირსეული წარმომადგენელი.

— თქვენი ნდობა, — თქვა გ. ნ. კურტანიძემ, — მავალებს კიდევ უფრო უკეთ ვიშრომო. შევეცდები გავამართლო გაწეული ნდობა.

თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კლუბში ქალაქ თბილისის დიდუბის № 15 საარჩევნო ოლქში დასახელებული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატი, ამ კომბინატის ოსტატის თანშეწყვ **ლევან გიორგის-ძე ჯანანაშვილი** შეხვდა ამომრჩევლებს.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — კომბინატის საქსოვი წარმოების უფროსმა მ. ნებიერიშვილმა შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ბიოგრაფია და შრომითი საქმიანობა. კერძოდ, მან თქვა, რომ ბრიგადა, რომელსაც ლ. გ. ჯანანაშვილი ხელმძღვანელობს, სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს საწარმოო დავალებებს, უშვებს მხოლოდ მაღალხარისხოვან პროდუქციას. ლ. გ. ჯანანაშვილი იყო სკკპ XXIII ყრილობის დელეგატი. მ. ნებიერიშვილმა ამომრჩევლებს მოუწოდა ხმა მისცენ მას.

შემდეგ გამოვიდა ლ. გ. ჯანანაშვილი, რომელმაც აღუთქვა **ამომრჩევლებს,** რომ არ დაიშურებს ძალღონესა და ენერგიას მათი ნდობის გასამართლებლად.

ბოლნისი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **არქიპო მირონის-ძე ლაბახუა** შეხვდა ბოლნისის № 138 საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებს, სადაც კენჭს იყრის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად.

ნდობით აღჭურვილმა პირმა — ბოლნისის რაიონული გაზეთის პასუხისმგებელმა მდივანმა ჰ. გურგენიძემ შეკრებილთ გააცნო დეპუტატობის კანდიდატის ცხოვრება და შრომითი საქმიანობა, მოუწოდა მათ ხმა მისცენ ა. მ. ლაბახუას.

ა. მ. ლაბახუამ აღუთქვა ამომრჩეველებს, რომ გაამართლებს მათს მაღალ ნდობას.

მაიაკოვსკი. მაიაკოვსკის კულტურის სახლში გაიმართა მაიაკოვსკის № 273 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველთა შეხვედრა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატთან, საქართველოს — კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების გამგესთან **შალვა ალექსანდრეს-ძე ხალატრიძესთან.**

ნდობით აღჭურვილმა პირმა — მაიაკოვსკის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ნ. კუპუხიძემ შ. ა. სალარიძე დაახასიათა როგორც კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის ღირსეული კანდიდატი, მოუწოდა ხმა მისცენ მას.

დეპუტატობის კანდიდატმა გულითადი მადლობა გადაუხადა ამომრჩევლებს დიდი პატივისათვის და დაპირდა, რომ გამართლებს მათს ნდობას.

ფალაგური. მაღლაკის № 243 საარჩევნო ოლქის ამომრჩეველები შეხვდნენ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის თავიანთ კანდიდატს, საქართველოს სსრ მინისტრთ

სოლიდარობა ვიეტნამელ ხალხთან

საბჭოთა კავშირის აზია-აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის კომიტეტის თავმჯდომარემ მირზო თურსუნ-ზადემ საკადესის კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა, რომ 13 მარტს საბჭოთა კავშირში იწყება ვიეტნამელ ხალხთან სოლიდარობის კვირეული.

მომავალი კვირეული საბჭოთა კავშირში მოეწყობა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ვიეტნამელი ხალხის გმირული ბრძოლის ყოველმხრივი მხარდაჭერის ნიშნით. მრავალრიცხოვან მიტინგებსა და კრებებზე, რომლებიც ამ დღეებში გაიმართება ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქსა და სოფელში, საბჭოთა ადამიანები კვლავ განაცხადებენ პროტესტს ვიეტნამში ამერიკის იმპერიალისტების დანაშაულებრივი აგრესიის ესკალაციის წინააღმდეგ და ხავსებთან დაუჭერენ მხარს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის სამართლიან პოზიციას ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების შესახებ.

16 მარტს გაიმართება საბჭოთა კავშირის ვიეტნამის მხარდაჭერის კომიტეტის სხდომა, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის მსხვილი ქალაქებისა და ოლქების წარმომადგენლები. დასახულია 17 მარტს მოსკოვში მოეწყოს დედაქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრება.

ყოველივე ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს მთელი საბჭოთა ხალხის ძმურ სამხრძოლო სოლიდარობას მებრძოლ ვიეტნამთან.

ყოველმხრივი დახმარება

კანო, 13 მარტი. (საკადესი). „საბჭოთა კავშირი ყოველმხრივ დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს ამერიკელი აგრესორების წინააღმდეგ ბრძოლაში“ — ასეთი სათაურით გაზეთი „ნიან ზანი“ დღეს აქვეყნებს ციტატებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვიდან, რომელიც მან ქალაქ მოსკოვის ბაუმანის რაიონის ამომრჩეველთა წინაშე წარმოთქვა.

გაზეთი განსაკუთრებით უსვამს ხაზს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვის შემდეგ ადგილს: „ფართოვდება და ძლიერდება ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმისადმი საერთაშორისო მხარდაჭერა. საბჭოთა კავშირი და სხვა სოციალისტური ქვეყნები საქმით ცხადყოფენ თავიანთ სოლიდარობას ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, მებრძოლ ვიეტნამელ ხალხთან, ყოველმხრივ დახმარებას უწევენ მათ ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

რასკის განცხადება

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა დინ რასკმა, ამერიკელ ბროდკასტინგ კომპანიის სატელევიზიო გადაცემა „კითხვა-პასუხში“ გამოსვლის დროს დაადასტურა, რომ შეერთებული შტატები უარს ამბობენ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არ სურთ დაამყაროთ მოთხოვნა ჩრდილოეთ ვიეტნამის დაბომბვის უყოყმანო და საბოლოო შეწყვეტის შესახებ. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას არ სურს განახორციელოს რაიმე ღონისძიება, რომელიც ვიეტნამის საკითხზე მშვიდობიანი მოლაპარაკების საჭირო პირობებს შექმნიდა. რასკი ამას ამართლებს იმით, თითქოს ჰანოის არ სურდეს დაბომბვის შეწყვეტის შემთხვევაში „ამის სანაცვლოდ“ რაიმე მოიმოქმედოს საომარი მოქმედების დიესკალაციისთვის.

რასკმა განაცხადა, რომ პრეზიდენტი ჯონსონი მომავალ კვირაში გუამის კუნძულზე შეხვდება ვიეტნამში განლაგებული ამერიკის ჯარების სარდალს გენერალ უესტმორლენდს, საიგონელ ელჩს ლოჯსა და თავდაცვის მინისტრს მაკნამარას იმისათვის, რათა განიხილონ ვიეტნამის მდგომარეობა.

ამერიკის თვითმფრინავები თავს დაესხნენ ჰანოის

ჰანოი, 13 მარტი. (საკადესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, გუშინ ამერიკის თვითმფრინავები შეიჭრნენ ჰანოის საჰაერო სივრცეში და ბომბები დაუშინეს წითელი მდინარის მოსაზღვრე რაიონს.

ამერიკის თვითმფრინავთა დამა ჯგუფებმა, რომლებსაც ბაზები აქვთ მე-7 ფლოტის ავიამზიდებზე და სამხრეთ ვიეტნამსა და ტაილანდში დაბომბეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობიანი ქალაქებისა და სოფლების ბარბაროსული დაბომბვა ხალხების აღშფოთებას იწვევს. აკადრიში უშვენენ რა ამას, სამხედრო ბლოკებში ამერიკის შეერთებული შტატების პარტნიორი ბევრი ქვეყნის მთავრობებიც კი არ ინიენენ განსაკუთრებულ სურვილს ჩაებან საომარ ავანტიურაში. ვიეტნამში წარმოებულ ომს შედეგად მოსდევს ამერიკის შეერთებული შტატების სულ უფრო მეტი იზოლაცია. წამყვანი იმპერიალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო პრესტიჟი, ბურჟუაზიულ მიმოქცევაში მრავალრიცხოვანი აღიარებით, ყოველთვიურად ეცემა.

საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გამწვავების პირობებში, რაც გამოწვეულია ამერიკის აგრესიით ვიეტნამში, სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების წინაშე ახალი სერიოზული საგარეოპოლიტიკური ამოცანები წამოიჭრა. ამერიკელ კოლონიზატორთა წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლაში მოძმე ვიეტნამელი ხალხისათვის ყოველმხრივ დახმარებასა ან მხარდაჭერას, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების მობილიზაციას, ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა სტრატეგიული და ტაქტიკური გეგმების. მათ შორის ვაშინგტონის ეგრეთწოდებულ „მშვიდობიან ინიციატივათა“ მხილებას. — ყოველივე ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა მიენიჭა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების საერთაშორისო საქმიანობაში. ვიეტნამის საკითხი მსოფლიო პოლიტიკის უაღრესად მწვავე პრობლემაა.

საბჭოთა კავშირი უდიდეს დახმარებას უწევს ვიეტნამელ ხალხს. ასრულებს რა თავის ინტერნაციონალურ ვალს გმირი ვიეტნამელი ხალხის წინაშე, სსრ კავშირი ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებს, რომ ხელი შეუწყოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, აწვდის მას შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას. ეს დახმარება თანდათან სულ უფრო მატულობს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარების მასშტაბებს, ამ დახმარების ეფექტურობას უცხოელ დამკვირბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოწმობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმული აზრები.

სკკპ XXIII ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ლე ზუანმა დიდი მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობასა და საბჭოთა ხალხს „უდიდეს და მრავალმხრივ დახმარებისათვის ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაში“.

„მთელი ხალხის გმირულ ღონისძიებათა მეოხებით, საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების გულითადი დახმარების მეოხებით, — თქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა მოადგილემ ლე თანი ნბიმ მიმდინარე წლის ლადი დახმარება. პოლონეთის პროფკავშირებმა დახმარების სახით გადასცეს 1 მილიონზე მეტი ზლოტი. კუბის პროფკავშირებმა ვიეტნამელ პატრიოტებს გაუგზავნეს 15 ათასი ტონა შაქარი და 2 მილიონი ცალი ტანსაცმელი. ბულგარეთის პროფორგანიზაციებმა ვიეტნამელ ძმებს რამდენიმე ასეული ათასი ლევი სხვადასხვა საქონელი და მედიკამენტები გაუგზავნეს. უნგრეთში მშრომელებმა დაიწყეს ფარული მოძრაობა „ვიეტნამის ცვლა-ბისა“, რომლებიც ეწყობა უმთავრესად შაბათობით, კვირა და უქმე დღეებში და რომელთა საზღაური მებრძოლ ვიეტნამთან სოლიდარობის ფონდში გადაირიცხება. ბერლინის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ვიეტნამისადმი მატერიალური დახმარება რომ გაადიდონ, ზოგიერთი საწარმოს კოლექტივები სოლიდარობის შრომითის ვალდებულებებს კისრულობენ. მნიშვნელოვან მატერიალურ დახმარებას უწევენ სსრ სხვადასხვა ფირმით აგრეთვე რუმინეთის, იუგოსლავიის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის და სხვა სოციალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც.

თანამედროვე ვიეტნამში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალიზმის ქვეყნების მჭიდრო შეკავშირებას, მათს ერთობლივ და შეთანხმებულ მოქმედებას თანამედროვე ომის საარსებო დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე. ახლა განსაკუთრებული ძალით გაისმის ლენინური სიტყვები იმპერიალიზმის წინააღმდეგ რევოლუციურ ბრძოლებში მოქმედების ერთიანობის საჭიროების შესახებ. მხოლოდ იმ პირობით, თუ ვისწავლით შეკავშირებასა და ერთსულოვნებას, მიგვითითებდა ვ. ი. ლენინი, გავიმარჯვებთ შემდგომ ბრძოლაში, განვმტკიცდებით და ნამდვილად უძლეველნი გავხდებით.

მოვლენათა განვითარება გვიჩვენებს, თუ რა უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის ქვეყნების შეთანხმებულ მოქმედებას საერთაშორისო ასპარეზზე, და კერძოდ ვიეტნამის საკითხში.

„ჩვენი ქვეყნების პარტიებსა და მთავრობებს საჭიროდ მიაჩნიათ სოციალისტურ სახელმწიფოთა მოქმედების ერთიანობა ვიეტნამელი ხალხის გამარჯვების მისაღწევად. თვითეულ ჩვენს ქვეყანას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შემდეგშიც არ დაზოგოს თავისი ძალღონე, მიიღოს ყველა საჭირო ღონისძიება იმისათვის, რომ დაეხმაროს ვიეტნამელ ხალხს ბოლო მოუღოს ამერიკის აგრესიას“, — ნათქვამია ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა ბუქარესტის თათბირზე 1966 წლის ივლისში მიღებულ განცხადებაში ვიეტნამში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიასთან დაკავშირებით.

ვარშავის ხელშეკრულების მონაწილეებმა ყველა სახელმწიფოს, რომლებისთვისაც ძვირფასია მშვიდობის საქმე, მთელ პროგრესულ საზოგადოებრიობას, საერთაშორისო მუშათა მოძრაობას, კომუნისტურ და მუშათა პარტიებს მიმართეს მოწოდებით შეაკავშირონ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტი. ამ მოწოდებამ გამოხმაურება ჰპოვა დედამიწის ყველა ნაწილში.

მშრომელნი სოლიდარობას უცხადებენ მებრძოლ ვიეტნამს. სულ უფრო მრავალმხრივი და ეფექტიანი ხდება მათი მასობრივი გამოსვლების ფორმები. საშრანგეთსა და იტალიაში იმართება მოელვარე მასობრივი საპროტესტო მიტინგები და დემონსტრაციები ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ, ამავე დროს ეწყობა ვიეტნამელი ხალხის წინაშე, სსრ კავშირი ყველა საჭირო ღონისძიებას ახორციელებს, რომ ხელი შეუწყოს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის თავდაცვის უნარიანობის განმტკიცებას, აწვდის მას შეიარაღებასა და სამხედრო ტექნიკას. ეს დახმარება თანდათან სულ უფრო მატულობს.

საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების დახმარების მასშტაბებს, ამ დახმარების ეფექტურობას უცხოელ დამკვირბთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოწმობს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელთა მიერ გამოთქმული აზრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის დეკემბრის პლენუმმა თავის გადაწყვეტილებაში მთლიანად მოიწონა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და საბჭოთა მთავრობის ხაზი ვიეტნამის საკითხში, ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც გაეწიოს მხარდაჭერა და დახმარება მოძმე ხალხს მის ბრძოლაში ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის წინააღმდეგ.

სსრ კავშირისა და სხვა მოძმე ქვეყნების სამხედრო და პოლიტიკური დახმარების ფარდა, ფართოვდება ვიეტნამელი ხალხისადმი მატერიალური მხარდაჭერა. ამაში დიდ როლს ასრულებენ სოციალისტური ქვეყნების წითელი ჯვრის ორგანიზაციები და პროფკავშირები. მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირებმა ვიეტნამში გაგზავნეს მოძრავი ქირურგიული ჰოსპიტალი და გაუწიეს ფუსიის წინააღმდეგ, ამავე დროს ეწყობა ვიეტნამის ფონდში სახსრების შეგროვება. ფულადი სახსრების შეგროვების ფართო კამპანიაა გაჩაღებული ნორვეგიაში, სადაც შექმნილია დახმარების ეროვნული კომიტეტი, აგრეთვე საქალაქო და რაიონული კომიტეტები. ვიეტნამელი ხალხისადმი სოლიდარობის აქტიური მორალია ფართოვდება ინგლისში, დანიაში, აკსტრიაში, ეგვიპტის სხვა ქვეყნებსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

ვიეტნამელი ხალხისადმი ძმური სოლიდარობის მოძრაობა იზრდება აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში. მთელ რიგ ქვეყნებში მშრომელთა გამოსვლები ვიეტნამისათვის მხარის დასაჭერად უერთდება პროტესტებს იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკელი აგრესორები იყენებენ სხვის ტერიტორიებზე შექმნილ სამხედრო ბაზებს, იმის წინააღმდეგ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიულ აქტებს სჩადიან კუბის, დომინიკის რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების მიმართ.

სოციალისტურ ქვეყნებს განსაკუთრებული ისტორიული პასუხისმგებლობა ეკისრებათ დედამიწის მშრომელების წინაშე. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც საერთაშორისო მუშათა კლასის უდიდესი მონაპოვარია, თანამედროვეობის მთავარი რევოლუციური ძალაა, სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ყველა ხალხთა საიმედო დასაყრდენი გახდა. შექმნილი პირობებში კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბრძოლას ყველა კომუნისტური და მუშათა პარტიის შეკავშირებისათვის მარქსიზმ-ლენინიზმის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპულ საფუძველზე.

ცხადია, აგრესორისადმი წინააღმდეგობა გაცილებით უფრო ძლიერი იქნებოდა, ჩინეთის ამლანდელი ხელმძღვანელობა რომ არ ახორციელებდეს გამთიშველ ხაზს, რომელიც ძირს უთხრის ანტიიმპერიალისტურ ფრონტს. ჩინეთის ხელმძღვანელები წინასწარი განზრახვით ეწევიან საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის გაუარესებისა და გამწვავების კურსს. აღვირახსნილი ანტისაბჭოთა კამპანია, საბჭოთა კავშირისადმი მტრობისა და სიძულვილის გაღვივება — ყოველივე ეს მოწმობს იმას, რომ ჩინეთის ხელმძღვანელები არა მარტო ძირს უთხრიან ანტიიმპერიალისტური ფრონტის ძალების ერთიანობას. მათ არსებითად შეწყვიტეს ბრძოლა ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სულ ახალ და ახალ სიძნელეებს უქმნიან იმას, რომ საბჭოთა კავშირსა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა აქტიური დახმარება გაუწიონ ვიეტნამელ ხალხს.

ჩინეთში მომხდარი უკანასკნელი ამბები, ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XI პლენუმის გადაწყვეტილებანი მოწმობენ იმას, რომ მაო ძე-დუნისა და მისი ჯგუფის დიდმპყრობელურ, ანტისაბჭოთა პოლიტიკას მარქსიზმ-ლენინიზმთან საერთო არა აქვს რა. გამთიშველი მოქმედება, რასაც ეს ჯგუფი ეწევა, ზიანს აყენებს სოციალიზმის, საერთაშორისო მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებს და ობიექტურად ეხმარება იმპერიალიზმს, კერძოდ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ ომში ვიეტნამის წინააღმდეგ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელიც გასული წლის დეკემბერში გაიმართა, ხაზგასმით აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში, როგორც არასოდეს, დიდმნიშვნელოვანია განვამტკიცებდეთ სოციალიზმის მსოფლიო სისტემის შეკავშირებასა და ძლიერებას, განვამტკიცებდეთ მუშათა კლასის საერთაშორისო სოლიდარობას, მხარს ვუჭერდეთ კოლონიური ჩაგვრისა და ნეოკოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს.

ვიეტნამელი ხალხი გმირულ ბრძოლას ეწევა იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის წინააღმდეგ. ამ სამართლიან, განმათავისუფლებელ ომში მის მხარეზეა ყველა პატიოსანი ადამიანი, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

შ. სანაკოევი,
ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

საერთაშორისო ცხოვრება

საბჭოთა კულტურის კვირეული

ლონდონი, 11 მარტი. (საკადესი). დღეს ლიდსში გაიხსნა საბჭოთა კულტურის კვირეული. კვირეულის დროს მცსოვრებლები გაეცნობიან საბჭოთა კავშირის ხელოვნების, მუსიკისა და ლიტერატურის განვითარების სხვადასხვა ასპექტს. ადგილობრივ უნივერსიტეტში გაიმართება კონკურსი რუსული ენის საუკეთესო ცოდნისათვის. ლიდსს ინგლისის ქალაქებს შორის მტკიცედ უკავია ერთ-ერთი პირველი ადგილი რუსული ენის შესწავლის მხრივ. ქალაქის უნივერსიტეტში არის რუსული ენის დიდი განყოფილება, რუსულ ენას ასწავლიან მთელ რიგ სკოლებში. სსრ კავშირის ელჩმა დიდ ბრიტანეთში მ. ნ. სმირნოვსკიმ, რომელმაც საბჭოთა კულტურის კვირეული გახსნა, პრეს-კონფერენციაზე აღნიშნა, რომ ეს კვირეული ორი ხალხის ურთიერთგაგების განვითარებისა და მეგობრული ურთიერთობის განმტკიცების საქმეში ახალი წვლილი იქნება.

უ ტანის მიმართვა

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკადესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა მოუწოდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობას თავის პოლიტიკურ პატიმრებს მოეპყრას „ცივილიზებულ სამყაროში მიღებული სისხლის სამართლის ნორმებისა და პრაქტიკის“ შესაბამისად.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს პოლგარდ მიულერს გაუგზავნა წერილი და მასთან ერთად ტექსტი რეზოლუციისა, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ადამიანის უფლებათა კომისიამ მიიღო ჟენევაში „და კომისიის სახელით „დიდი შეშფოთება“ გამოთქვა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში პოლიტიკურ პატიმართა მდგომარეობის გამო.

მემარცხენე ძალების დიდი წარმატება

ვალდეკ როშეს განცხადება

პარიზი, 13 მარტი. (საკადესი). მეორე ტურის შედეგები კვლავ ადასტურებენ მემარცხენე პარტიათა დიდ პროგრესს, რასაც პირველ ტურში მიაღწიეს, განაცხადა გუშინ გვიან საღამოს პრესის წარმომადგენლებს საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ვ. როშემ, რომელმაც გააშუქა საფრანგეთის პარლამენტის არჩევნებს შედეგები.

„ჩვენ გვახარებს ეს შედეგები, რომლებიც ადასტურებენ, რომ სწორია დემოკრატიული ძალების კავშირის პოლიტიკა, რომლის განხორციელებასაც მუდამ მოვითხოვდით“, — თქვა ვ. როშემ, მან აღნიშნა, რომ კენჭისყრის ახლანდელი სისტემა არახელსაყრელ მდგომარეობას უქმნის საფრანგეთის კომპარტიას, და განაცხადა: მიუხედავად ამისა, საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ „ხუთ მილიონზე მეტი ხმა მიიღო პირველ ტურში, მეორეში კი ბევრი ადგილი მოიპოვა პარლამენტში“. „პოლიტიკური თვალსაზრისით მეორე ტურის მთავარი მოვლენა ის არის, რომ დეგოლელთა დამარცხებასთან ერთად რესპუბლიკის მასებმა მოიწონეს მემარცხენე პარტიების კავშირი და, კერძოდ, კომუნისტური პარტიისა და დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციის კავშირი“.

„ის ფაქტი, რომ დეგოლელთა პარტია უკან იხევს იმ დროს, როცა მემარცხენე ძალები პროგრესირებენ, ცხადყოფს, რომ მომავალი გაერთიანებული მემარცხენე ძალებს ეკუთვნით.

ხალხის მასების ამ მხარდაჭერით გადღონივრებული საფრანგეთის კომუნისტური პარტია, თქვა ვ. როშემ, „კვლავაც ყოველნაირად ეცდება ხელი შეუწყოს მემარცხენე ძალების გაძლიერებას, რათა ბოლო მოუღოს პირადი ძალაუფლების რეჟიმს და მიამზადოს პირობები დემოკრატიული კავშირის მთავრობის შექმნისათვის, რომელიც შეძლებს განახორციელოს ხალხისა და ერის ინტერესების შესაბამისი სოციალური პროგრესისა და მშვიდობის პოლიტიკა“.

საფრანგეთის არჩევნების შედეგები

პარიზი, 13 მარტი. (საკადესი). შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემებით, არჩევნების მეორე ტურის არასაბოლოო შედეგების მიხედვით ეროვნულ კრებაში 480 დეპუტატის ადგილი შემდეგნაირად განაწილდა:

კომუნისტური პარტია —72 ადგილი;
დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაცია —116 ადგილი;
გაერთიანებული სოციალისტური პარტია — 5 ადგილი;
სხვადასხვა მემარცხენე დაჯგუფება — 5 ადგილი;
ახლანდელი მთავრობის უმრავლესობის კანდიდატები — 240 ადგილი;
„დემოკრატიული ცენტრი“ — 30 ადგილი;
სხვადასხვა მემარჯვენე დაჯგუფება — 12 ადგილი.

პარიზი, 13 მარტი. (საკადესი). აქ გამოქვეყნებული მონაცემების თანახმად ეროვნული კრების 486 ადგილიდან 484 ადგილის განაწილების შესახებ, საფრანგეთის კომპარტიამ მოიპოვა 73 მანდატი, თითქმის ერთიოორად გაადიდა თავისი წარმომადგენლობა პარლამენტში. დემოკრატიული და სოციალისტური მემარცხენე ძალების ფედერაციამ მოიპოვა 116 ადგილი, მმართველმა პარტიამ ახალი რესპუბლიკის დაცვის კავშირმა — შრომის დემოკრატიულმა კავშირმა, მიიღო 244 მანდატი.

ორი უკანასკნელი ოლქის—კორსიკისა და პოლინეზიის ოლქების არჩევნების შედეგები მოგვიანებით გაირკვევა: კორსიკაში — პოლიციასთან შეტაკების შედეგად წარმოქმნილ უწესრიგობათა გამოძიების შემდეგ, პოლინეზიაში კი შემდეგ კვირას.

გაასშავეს მინისტრები

პარიზი, 13 მარტი. (საკადესი). დეგოლის მთავრობის ოთხი მინისტრი დამარცხდა საფრანგეთის ეროვნული კრების არჩევნების მეორე ტურში. ესენი არიან საგარეო საქმეთა მინისტრი მორის კუვ დე მიურვილი, შეორაღებულ ძალთა მინისტრი პიერ მესმერი, ყოფილ ფრონტელთა და ომის მსხვერპლთა საქმეების მინისტრი ალეჟანდრ სანჩინეტი და მინისტრი, რომელიც თანამშრომლობის საკითხებს განაგებს, — ჟან შარბონელი. ამას იუწყება ფრანს პრესის საგენტო.

ესპარს უჭერენ მეგობრობას

ტოკიო, 13 მარტი. (საკადესი). **დღეს მუშაობა დაამთავრა იაპონია-სსრ კავშირის საზოგადოების — იაპონიის ერთ-ერთი ყველაზე მასობრივი ორგანიზაციის მორიგმა ყრილობამ, რომლებიც მხარს უჭერენ მეგობრობას საბჭოთა ხალხთან.**

ყრილობის მონაწილეებმა შეაჯამეს „იაპონია-სსრ კავშირის“ საზოგადოების გასული წლის მუშაობის შედეგები და დასახეს 1967 წლის ამოცანები.

ყრილობას ესწრებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებების კავშირისა და „სსრ კავშირ-იაპონიის“ საზოგადოების დელეგაცია.

საბჭოთა დელეგაციამ ყრილობას მიართვა ვ. ი. ლენინის ბიუსტი.

„უორკერის“ 45 წლისთავი

ნიუ-იორკი, 13 მარტი. (საკადესი). გუშინ გაიმართა კრება, რომელიც მიეძღვნა ამერიკელ კომუნისტთა გაზეთ „უორკერის“ 45 წლისთავს. კრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის ეროვნულმა თავმჯდომარემ ჰენრი უინსტონმა, რომელმაც დაახასიათა გაზეთის როლი მშვიდობისა და დემოკრატიისათვის ბრძოლაში. მან განაცხადა, რომ წლის დამლევისათვის გადაწყდა გაზეთ „უორკერის“ ყოველდღიური გამოშვების საკითხი.

სუკარნოს ჩამოერთვა უფლებამოსილება

ლონდონი. ინდონეზიის დროებითმა სახალხო საკონსულტაციო კონგრესმა პრეზიდენტ სუკარნოს ჩამოართვა მთელი უფლებამოსილება და გენერალი სუხარტო დანიშნა რესპუბლიკის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად. ამას გვატყობინებს რეიტერის საგენტოს ჯაკარტელი კორესპონდენტი.

სუკარნოს აკრძალული აქვს ყოველნაირი პოლიტიკური მოღვაწეობა საყოველთაო არჩევნებამდე, რომელიც 1968 წელს გაიმართება.

უპერსონალური ბოლშევიკი

3. ულბრიხტის გამოსვლა

ბერლინი, 13 მარტი. (საკადესი). გუშინ გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ბერლინის საოლქო კონფერენციაზე გამოვიდა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვალტერ ულბრიხტი, რომელიც შეეხო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საშინაო და საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს, პარტიისა და მშრომელთა ამოცანებს სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის დროს, მშვიდობისა და ევროპის უშიშროების საკითხებს.

3. ულბრიხტმა ცხადყო არსი დასავლეთგერმანელ რევანშისტთა აგრესიული ზრახვებისა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, რაც უწინარეს ყოვლისა იმით გამოიხატება, რომ ბონს ყოველდღიურად პრეტენზიები აქვს იყოს მთელი გერმანელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენელი.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა თქვა, რომ ევროპის ქვეყნები დაინტერესებული არიან დამყარდეს ნორმალური ურთიერთობა ამ კონტინენტის სახელმწიფოთა შორის, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბონის ავანტურისტული გეგმები უპერსპექტივოა.

„ჩვენ, — განაგრძო ვ. ულბრიხტმა, — მზად ვართ დღესაც შევუთანხმდეთ დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატებს ევროპის უშიშროების უზრუნველყოფის საფუძველზე, ორივე გერმანული სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი მონაწილეობის პირობებში ევროპის ყველა სახელმწიფოს გაერთიანებული თათბირის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, როგორც საახალწლო წერილში ითქვა, ჩვენ მზად ვართ შევთანხმდეთ, რომ განვახორციელოთ განიარაღების ერთობლივი ღონისძიებანი ორივე გერმანულ სახელმწიფოში. მაგრამ ურთიერთგაგების ასეთი პოლიტიკა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ სოციალ-დემოკრატიული ხელმძღვანელობა უარს იტყვის ერთადერთი წარმომადგენლობის პრეტენზიებზე, ბოლოს მოუღებს რევანშისტულ მოთხოვნებს და ცნობს ევროპის ახლანდელ საზღვრებს“.

ინდირა განდი ქვლავ პრემიერ-მინისტრი

დელი, 12 მარტს ინდირა განდი ერთსულოვნად აირჩიეს მმართველი პარტიის — ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერად. ინდოეთის კონსტიტუციის თანახმად მმართველი პარტიის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერი ავტომატურად ხდება პრემიერ-მინისტრი და ქმნის ახალ მთავრობას.

დელი. ინდირა განდიმ, რომელიც ინდოეთის ეროვნული კონგრესის საპარლამენტო ჯგუფის ლიდერად არჩევის შემდეგ 12 მარტს გამართულ პრეს-კონფერენციაზე გამოვიდა განაცხადა, რომ ახალი მთავრობა უწინარეს ყოვლისა მთავარ ყურადღებას დაუთმობს სურსათით მოსახლეობის უზრუნველყოფისა და სიძვირის ზრდის შეჩერების საკითხებს.

შეეხო რა ინდოეთის საგარეო და საშინაო პოლიტიკის საერთო მიმართულებას, განდიმ განაცხადა, რომ ახალი მთავრობა განახორციელებს მიუმხრობლობისა და დემოკრატიული სოციალიზმის მშენებლობის კურსს. მაგრამ, თქვა მან, ამ პოლიტიკას დროდადრო გადავსინჯავთ შექმნილი ვითარების შესაბამისად. შეეხო რა ინდოეთის ურთიერთობას ჩინეთთან და პაკისტანთან, განდიმ აღნიშნა, რომ ახალი მთავრობა კვლავაც ეცდება მიაღწიოს ურთიერთგაგებას ამ ქვეყნებთან.

ინდოეთის ახალი მთავრობა

დელი, 13 მარტი. (საკადესი). დღეს ინდირა განდიმ ფიცი დადო, როგორც ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა. შემდეგ ფიცი დაიდეს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ მორარჯი დესაიმ, რომელიც აგრეთვე ფინანსთა მინისტრი იქნება, და ინდოეთის ახალი მთავრობის სხვა 17 მინისტრმა.

ახალი კაბინეტის 19 წევრთაგან 16 წინა მთავრობის შემადგენლობაში იყო. პოსტები შეინარჩუნეს შინაგან საქმეთა მინისტრმა ი. ბ. ჩავანმა, თავდაცვის მინისტრმა სვარან სინგჰმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. ჩაგლამ და საგებგზავნის მინისტრმა აშოკა მეხთამ. საგარეო საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მინისტრი დინუშ სინგჰი ვაჭრობის მინისტრი გახდა.

შაპი ყვავილ აკაკისტანში

ყარაჩი. ამ ბოლო ორ თვეში შავი ყვავილით დაავადების ას ხუთი შემთხვევა იყო ყარაჩიში. 45 კაცი გარდაცვალა. მიმდინარე წლის ორ თვეში შავი ყვავილით დაავადებულთა რიცხვმა გადააჭარბა ამ ბოლო ოთხი წლის წლიურ დაავადებათა რიცხვს.

შავი ყვავილი აუცრეს 400 ათას კაცს.

მიწისძვრა მექსიკაში

ნიუ-იორკი. 25 წამს გრძელდებოდა მიწისქვეშა ბიძგები მექსიკის ქალაქ ვერა-კრუსის რაიონში — დაახლოებით 300 კილომეტრზე დედაქალაქ მეხიკოს სამხრეთ-აღმოსავლეთით. როგორც იუნანტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტოს კორესპონდენტი ვერა-კრუსიდან გვატყობინებს, რ

ტურისტული მატარებლით •

ეპლოგა თბილისელებს

ტურისტულ - თეატრალური მატარებელი „შოთა რუსთაველი“ კვირას ქ. ცხინვალიდან მოვიდა, ხოლო ბუშინ ჯავიდან და თან ჩამოიყვანა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ინტელიგენციის წარმომადგენლები. სტუმრებს გულთბილად შეხვდნენ პარტიული და საბჭოთა ორგანოების წარმომადგენლები, ლიტერატურისა და ხელოვნების, პრესის, რადიოს, ტელევიზიის მუშაკები, დედაქალაქის მშრომელები.

ცხინვალელმა და ჯაველმა სტუმრებმა დათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნობანი, ცოცხალი ყვავილების გვირგვინით შეამკეს ვ. ი. ლენინის ძეგლი. სადამოს ცხინვალელები იყვნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და ცირკში, ხოლო ჯაველები — კინოთეატრ „ოქტომბერში“.

ცხინვალი და თბილისი არც თუ ისე დიდი მანძილით არიან ერთმანეთს დაცილებული. ამიტომ, ბუნებრივია, ცხინვალელებმა კარგად იციან ჩვენი დედაქალაქის ავ-კარგი, მაგრამ ასე კოლექტიურად, ტურისტული მატარებლით ოთხასზე მეტი მშრომელის ჩამოსვლა თბილისში პირველად მოეწყო. ეს სახიამოვნოც იყო და სასარგებლოც. სახიამოვნო — იმიტომ, რომ თბილისში ბევრი ახალი პროსპექტი, ქუჩა, მოედანი, კვარტალი და გალამაზებული მტკვრის სანაპიროები ვნახეთ. სასარგებლო — იმიტომ, რომ ექსკურსიის დროს ბევრი ახალი შეიძინეს ჩვენმა მშრომელებმა.

ჩვენც თავისებური ნობათით ჩამოვედით დედაქალაქში. წარმატებით შესრულდა გასული სამეურნეო წლის და ხუთწლედის მეორე წლის პირველი კვარტალის გეგმები. შარშან ქალაქის საწარმოებმა პროდუქციის ჯამოშვების გეგმა 114,2 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია მილიონობით მანეთის პროდუქცია. მიმდინარე წლის გასული ორი თვის გეგმაც 114 პროცენტით შესრულდა.

ქ. ცხინვალი უკანასკნელ წლებში ლამაზდება და ხასხეს იცვლის. პატარა პროვინციული დაბიდან სამრეწველო ქალაქად გადაიქცა. აშენდა ისეთი ქარხნები, როგორიც არის „ელექტროვიბრომანქანა“, რომლის პროდუქცია საზღვარგარეთაც გადის. აშენდა აგრეთვე მოშინაურებული ხადენების, მექანიკური, ლუდის, ღვინის, კონსერვების, პურის ქარხნები. გალამაზდა ქალაქის ქუჩები და მოედნები, გამრავლდა სკოლები და სამკურნალო დაწესებულებები და სხვ.

ხაუბალეო წლისთავის ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად მთელი ძალით გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება. საწარმოთა მუშები ერთმანეთს ეჯიბრებიან, რომ ახალი სახახელო ხაქმეებით გაახარონ დედაქალაქის მშრომელნი.

ზ. თედეევი.

საქართველოს კპ ცხინვალის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი.

ჯავა მთიანი რაიონია. ჩვენი მზარეგანთქმულია შრომისმოყვარე ადამიანებით და კურორტებით. რაიონის მშრომელები სიხარულის გრძნობით ჩამოვიდნენ თბილისში. აქ მათ ბევრი საინტერესო და ღირსშესანიშნაი ისტორიული ადგილები, ახალი უბნები დაათვალიერეს. მთავარი კი ის არის, რომ თბილისელები ასე გულღიად და სტუმართმოყვარულად შეგვხვდნენ. ეს ძალიან კარგი ღონისძიებაა, ასეთი სტუმართმასპინძლობა ჩვენს ადამიანებს ახალისებს შრომითი საგმირო საქმეებისათვის.

ჯაველებიც ხელდამშვენებულები ესტუმრნენ დედაქალაქს. აი ჩვენი შრომის შედეგები: გასულ წელს ჩვენმა რაიონმა მიიღო საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტისა და საოლქო საბჭოს აღმასკომის გარდამავალი წითელი დროშა მეცხოველეობაში მიღწეული წარმატებებისათვის. ხორცის დამზადების გასული წლის გეგმა 127 პროცენტით შესრულდა, რძისა — 104 პროცენტით, მატყლისა — 111 პროცენტით. დიდი წვლილი მიუძღვით მოწინავე ადამიანებს, ისეთებს, როგორიც არიან ხვწელი მწველავი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ლ. გალგანოვა, წონელი მწველავი რ. ბითიევა, ბუზალელი ბრიგადირი კ. ჯიოევი და სხვები.

თავი ისახელეს რაიონის მრეწველობის მუშაკებმაც.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში გალამაზდა და კეთილმოწყობილი გახდა ჩვენი სოფლები. თუ რევოლუციამდე რაიონში მხოლოდ ერთი დაწყებითი სკოლა იყო, ახლა რვა საშუალო, თხუთმეტი რვაწლიანი და 53 დაწყებითი სკოლაა, სადაც 3.477 მშრომელის შვილი სწავლობს. რაიონში არის ოთხი საავადმყოფო, ორი ამბულატორია, 12 საფერშლო პუნქტი, ბევრი საბავშვო ბაღი და ბაგა. წინათ კი ამაზე ოცნებაც არ შეიძლებოდა.

ოქტომბრის 50-ე საიუბილეო წლისათვის ჩვენ გადდებული ვალდებულებანი ვიკისრეთ, რომელთა შესასრულებლადაც მთელი ძალით გაჩაღდა სოციშეჯიბრება.

მადლობა თბილისელებს ასეთი სტუმართმოყვარეობისათვის!

ი. თედეევი.

ჯავის მშრომელთა დეპუტატების რაიხბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე.

* * *

სურათებზე: ქ. ცხინვალისა (ზევით) და ჯავის რაიონის მშრომელები თბილისში.

ფოტო ბ. კობახიასი.

„ლა სკალაში“
რუსულ კოსტუმებს იზომებენ

ვილანოს მაყურებლები თავიანთი სახელგანთქმული თეატრის „ლა სკალას“ სცენაზე ბალე ნახავენ ვასილ ნეტარის გუშმათებს, ძველ წითელ მოედანს — ამ სეზონში „ლა სკალაში“ ნაჩვენები იქნება მუსორგსკის მუსიკალური დრამა „ხოვანშჩინა“, რომელსაც დგამს დიდი თეატრის მთავარი რეჟისორი ი. თუმანიშვილი. უკვე განაღებულია მუშაობა ახალი სპექტაკლის შესაქმნელად: მზად არის დეკორაციების ესკიზები, განწილებული და შესწავლილია წამყვანი პარტიები, დარჩა უკანასკნელი სარეპეტიციო ეტაპი. რეპეტიციებში მონაწილეობასთან მოსკოვიდან ბალანშრმა 11 მარტს გაფრინდა დამდგმელი რეჟისორი.

წასვლის წინ ი. თუმანიშვილი საკედესის კორესპონდენტს ესაუბრა მილანოს თეატრ „ლა სკალაში“ მუშაობის შესახებ.

— დადგმის მხრივ „ხოვანშჩინას“ სულ ახლებურად გადავწყვეტთ, — ხაზგასმით აღნიშნა მან. — სპექტაკლი, რომელსაც იტალიელი მაყურებელი ნახავს, ოდნავადაც არ იქნება იმ დადგმის განმეორება, რომელიც ერთ დროს მოსკოვში ლ. ბარათოვმა განახორციელა.

სპექტაკლის დეკორაციები ეკუთვნის ცნობილ მხატვარ ნ. ბენო